

საკრედიტო პორტფელის მართვის თავისებურებები

კრედიტი მიეკუთვნება საბანკო აქტივების ყველაზე მნიშვნელოვან სახეს. მას ბანკებისათვის მათი შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოაქვს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა არის ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის სფეროში. კომერციული ბანკები შეიმუშავენ საკრედიტო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, განსაზღვრავენ მის მთავარ მიზანს, პრიორიტეტებს საკრედიტო ბაზარზე და დაკრედიტების ძირითად მიმართულებებს.

საფინანსო ბაზარზე კონკურენციის პირობები ბანკებს კარნახობენ საბანკო მომსახურების წრის გაფართოებას. ამ მიმართულებით მოძრაობა შეიძლება მხოლოდ შესაძლო რისკების შეფასების გათვალისწინებით და მათი შემცირების გზების განსაზღვრით, ბანკისათვის ოპტიმალური დაკრედიტების პროცესისა და საკრედიტო პორტფელის ლიკვიდურობის უზრუნველყოფის ზომების შემუშავებით, აგრეთვე, სწორი საპროცენტო პოლიტიკის წარმართვით.

საკრედიტო რისკი არის ის პოტენციური დანაკარგი, რომელიც წარმოიშობა კლიენტის შესახებ მხედველობის მიერ ბანკებისათვის დავალიანების თანხების დაუბრუნებლობის ან არააღრუფილი დაბრუნების შემთხვევაში. რისკის პროგნოზირება (მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების დროს) მოიცავს კლიენტის იურიდიული უფლებამოსილების, მისი ფინანსური მდგომარეობის, საკრედიტო ისტორიისა და მის მიერ შემოთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხის შემოწმებას.

რაც შეეხება საკრედიტო პორტფელთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობამ (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2014 წლის პირველი იანვრისათვის 10.5 მლრდ ლარი შეადგინა.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა (2013 წელს 2012 წელთან შედარებით) თითქმის 21% შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე სესხების წლიური ზრდა 16%-ზე მეტი იყო, რაც, ძირითადად, ეროვნული ვალუტით სესხების მაღალი მატების ტემპით არის გამოწვეული. იურიდიული პირების დაკრედიტების

ბიორბი ხანთაძე,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

საერთო მოცულობის 70.7% მხოლოდ სამ დარგზე - მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდის.

2013 წლის ბოლოს ვადაგადაცილებული სესხები 231.1 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 2.2% იყო. ვადაგადაცილებული სესხების 45.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული. ამავე პერიოდში საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 62.3%-ს გაუტოლდა და საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე წლიური 15.6%-ის დონეზე იყო. მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები.

იმისათვის, რომ ბანკს საკრედიტო პორტფელისა და ვადაგადაცილებული სესხების მართვა არ გაუჭირდეს, ის უნდა მუშაობდეს საკრედიტო პოლიტიკის ადაპტირებული მიზნების შესაბამისად. ესენია:


- ზოგადი, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების ეფექტიანი განთავსებისათვის კრედიტების გაცემას. ბანკის მოგების სტაბილური მატების უზრუნველყოფას, საკრედიტო ოპერაციებიდან შემოსავლების ზრდასა და მათზე ხარჯების შემცირებას;

- კერძო, რომელიც გამოიხატება კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესებაში, სტრუქტურული მაჩვენებლების შეცვლაში, ბანკის რეპუტაციის განმტკიცებაში.

ბანკის პრიორიტეტები საკრედიტო ბაზარზე განსაზღვრავს იმ დარგების არჩევანს, რომლებიც წარმოადგენს ბანკის ინტერესთა სფეროს მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე, ოპტიმალურ სტრუქტურას კრედიტების თითოეულ კატეგორიაზე (ვადებსა და სახეებზე), მსხვილი კრედიტების დაგეგმილ დონეს, ახალი სახის კრედიტების მიზანშეწონილობასა და დანერგვას.

საკრედიტო რისკის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას დაკრედიტების სფეროში საქმიანობის მაღალი ფინანსური შედეგების მისაღწევად. იგი ხორ-

გიორგი ხანთაძე



ციელდება შემდეგი ხერხებით:

- სესხების პორტფელისა და ბანკის ინვესტიციების ლივერსიფიკაცია;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის წინასწარი ანალიზი;
- გასაცემი კრედიტების ღირებულების შეფასება;
- კრედიტების დაზღვევა;
- საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვა.

ლივერსიფიკაციის პოლიტიკის არსი მდგომარეობს დიდი რაოდენობით კრედიტების გაცემაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კლიენტებზე. გარდა ამისა, ამ დროს ხორციელდება კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების განაწილება ვალების მიხედვით (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი დაბანდებების წილის რეგულირება კონიუნქტურული სავარაუდო ცვლილებების მიხედვით), დანიშნულების მიხედვით (სეზონური, სამშენებლო და ა.შ.), უზრუნველყოფის სახის მიხედვით, კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის დაწესების ხერხის მიხედვით (ფიქსირებული ან ცვალებადი), დარგების მიხედვით და ა.შ.

კრედიტუნარიანობის წინასწარი ანალიზი აღიარებულია დაკრედიტების რისკის შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მეთოდად. შედეგი მეტად საგრძნობია, თუკი დაკმაყოფილე-

ბულია ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მოთხოვნები პერსონალის კვალიფიკაციისადმი, რამდენადაც უშუალოდ ამაზეა დამოკიდებული კრედიტუნარიანობის წინასწარი ანალიზის სიზუსტე და ეფექტიანობა.

გაცემული კრედიტების ღირებულების შეფასება და მათი შემდგომი ანალიზი გამოიხატება კრედიტების კლასიფიკაციით რისკების ჯგუფების მიხედვით და საეჭვო ვალებზე შესაბამისი რეზერვის შექმნით.

კრედიტის დაზღვევა გულისხმობს მისი დაუზრუნველობის რისკის სრულ გადაცემას ორგანიზაციისათვის, რომელიც ეწევა დაზღვევას. ამჟამად არსებობს კრედიტების დაზღვევის სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ჩვეულებრივ, ეკისრება მსესხებელს.

კრედიტის საკმარისი უზრუნველყოფა ნიშნავს, რომ ბანკისათვის გარანტირებულია გაცემული კრედიტისა და მასზე პროცენტების დაბრუნება. აგრეთვე, ვადაგასული დავალიანების გადახდევის ხარჯებს.

საკრედიტო პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს ძირითად მიმართულებებსა და მეთოდოლოგიას. იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი,

ბანკები, აღრიცხვა და აუდიტი

ეს პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს საკრედიტო პორტფელთან დაკავშირებული რისკის სწორ და კონსერვატულ ანალიზს. ამ პოლიტიკაში ასახული უნდა იყოს მენეჯმენტის ვალდებულებები ადეკვატური სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნის მიმართ იმ მოზნით, რომ მოხდეს არსებული და შესაძლო დანაკარგების კომპენსირება ამ რეზერვის ხარჯზე.

სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი იქმნება ბანკის შემოსავლებიდან სესხების პორტფელის კლასიფიკაციის შესაბამისად მინიჭებული სტატუსის შემდეგ, ფაქტური საბალანსო დავალიანების მიხედვით. საკრედიტო რისკის ფაქტორებიდან გამომდინარე სესხები შეიძლება მიეკუთვნოს ხარისხის ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთს.

საკრედიტო პოლიტიკაში ნათლად უნდა იყოს ასახული ის პროცედურები, რომლებსაც უნდა მისდევდნენ სესხების განმკარგავი პირები სესხების ამოღებასთან დაკავშირებით. მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს იმ სესხების სისტემა, რომელსაც მიმართავს მენეჯმენტი ვადაგადაცილებული სესხების ამოღებისას და კლიენტებთან უშუალო ურთიერთობისას.

საჭიროა არსებობდეს ის კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც შეეხება იმ ანგარიშებს, რომლებიც უნდა მიეწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს ვადაგადაცილებული სესხებისა და დავალიანების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს წარდგენილი ანგარიში უნდა შეიცავდეს რისკის ფაქტორის განსაზღვრისათვის საკმარის დეტალებს. გარდა ამისა, როცა საქმე ეხება ჩამოსაწერ სესხებს, ყველა ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსთვის და განხილულ იქნეს მის მიერვე.

საკრედიტო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მენეჯმენტის მიერ საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის დონის შენარჩუნება. ასეთი დივერსიფიკაციის ხელშეწყობა უნდა მოხდეს საკრედიტო პორტფელის კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული კრედიტებისთვის

მაქსიმალური და მინიმალური კონცენტრაციის დონის (რომელიც განისაზღვრება, როგორც კონკრეტულ სექტორში გაცემული კრედიტების თანაფარდობა საკრედიტო პორტფელის სრულ მოცულობასთან) დადგენით. როდესაც რომელიმე სექტორში წარმოიქმნება ცუდი სიტუაცია, ყოველი ცალკე ამოღებული სესხი, რომელიც ამ სექტორს ეკუთვნის, განიცდის მის გავლენას. ბანკმა, რომლის საკრედიტო პორტფელის დიდი პროცენტული წილი მოხდა გაუარესებულ, არამდგრად ან ცუდ სექტორში, შეიძლება განიცადოს სერიოზული ზარალი. საკრედიტო პოლიტიკამ უნდა ასახოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სხვადასხვა კონცენტრაციასთან დაკავშირებული რისკის შეფასება და განსაზღვროს, რა ოდენობის კონცენტრაციაა დასაშვები. ბანკის მიერ დადგენილი მაქსიმალური და მინიმალური დონე არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური ნორმატივებით და ლიმიტებით დადგენილ ნორმებს.

აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბანკმა პოტენციური მსესხებლისაგან სესხის გადაცემამდე და რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მსესხებელმა ბანკს, ვიდრე კრედიტის თანხა არ ექნება სრულად გადახდილი. საკრედიტო ურთიერთობის პროცესი მოიცავს:

1. მსესხებლის საქმიანობის აღწერას;
 2. მსესხებლის ადრინდელ და მიმდინარე მდგომარეობას;
 3. ყველა გაცემული სესხის მიზანს, სესხის დაბრუნების წყაროებს და გადახდის გეგმას;
 4. სასესხო გარანტიებს (უზრუნველყოფას), მის ღირებულებას და შეფასების წყაროს.
- კრედიტების გაცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის სიმყარეს, მომგებიანობას და ძირითადი საქმიანობის სფეროში ნაღდი თანხების ნაკადს.

კლიენტის ფინანსური ანგარიშების დეტალური განსხვავება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის

საკრედიტო რისკი სესხის ხარისხის კატეგორიის მიხედვით

სესხის ხარისხის კატეგორია	სესხის ხარისხის კატეგორიის დასახელება	საკრედიტო რისკი %
1 (უმაღლესი)	სტანდარტული	0
2	საყურადღებო	10
3	არასტანდარტული	30
4	საეჭვო	50
5 (უდაბლესი)	უიმედო	100

კრედიტი უნდა იქნეს გაცემული. საკრედიტო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ფინანსური ანგარიშის მოთხოვნები (მოუხედავად იმისა, საქმე გვაქვს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წლიური ან შუალედური ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშის და ნაღდი თანხების ნაკადის შესახებ ინფორმაციის წარდგენას, ასევე, ანგარიშებს კაპიტალის ცვლილების შესახებ.

მთლიანობაში, ადეკვატური დაკრედიტების პრაქტიკა მოითხოვს, რომ სესხების განმკარგავი პირები უზრუნველყოფილი იყვნენ იმ ინფორმაციით, რომელიც მნიშვნელოვანია კრედიტის განახლებისათვის, გაგრძელებისათვის ან დამატებითი სესხის გაცემისათვის.

საკრედიტო პოლიტიკამ უნდა დაადგინოს ზღვრები თითოეული კატეგორიის კრედიტების გაცემაზე, გამომდინარე ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივებიდან: ე.ი. ერთ ინსაიდერზე, ერთ აუტსაიდერზე, ყველა ინსაიდერზე გაცემული კრედიტების ოდენობა და საკრედიტო პორტფელის ფორმირებისას დაცულია თუ არა გრძელვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

რაც შეეხება კრედიტების გაცემის ჩარჩოებს გარკვეულ საზღვრებში, სასურველია იგი დადგინდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ამასთანავე შესაძლებელია განსაზღვრული გამონაკლისების დაშვება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის განმკარგავი პასუხისმგებელი პირი დარწმუნებულია, რომ ესა თუ ის საკრედიტო წინადადება საკმაოდ კარგია და ღირს მისი განხილვა. ყოველი ასეთი კრედიტის შემთხვევაში, ბანკის დირექტორატმა უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება სესხის გაცემის თაობაზე.

საკრედიტო პოლიტიკამ მკვეთრად უნდა გამიჯნოს იმ პირთა წრე, მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომლებიც სესხების გაცემას განაგრძავენ, აგრეთვე უნდა განსაზღვროს ის წესი, რომლის მიხედვითაც იქნება მიღებული რაიმე გადაწყვეტილება სესხის გაცემის თაობაზე და სამეთვალყურეო საბჭოსადმი გასაკეთებული მოხსენების ფორმა.

კრედიტების ფასის დადგენა არ არის ზუსტი მეცნიერება, ვინაიდან იგი განიცდის მრავალი ფაქტორის გავლენას. ამიტომ საკრედიტო პოლიტიკაში ასახული უნდა იყოს ზოგადი პარამეტრები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის მინიმუმი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ დაიფაროს:

1. სესხებისათვის გამოყენებული ფონდების (აქტივების) ღირებულება;
2. ბანკის საკრედიტო მომსახურების ხარჯები (საერთო ხარჯების გათვალისწინებით);
3. შესაძლო დანაკარგები;
4. მოგების განსაზღვრული დონე.

საკრედიტო პორტფელის პერიოდული მიმოხილვა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საპროცენტო განაკვეთი შესწორებულ იქნეს საშუალო (საბაზრო) საპროცენტო განაკვეთისა და კონკრეტული გარემოს ცვლილებებიდან გამომდინარე, ხოლო გარკვეული ტიპის კრედიტებზე – მოსალოდნელი რისკის შესაბამისად. გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საკომპენსაციო ნაშთის მოთხოვნილებები, სხვადასხვა გადასახადი და ყველა სხვა ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ საპროცენტო განაკვეთის დონეზე.

სესხების ყიდვა-გაყიდვის აუცილებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით. ასეთებია: ლიკვიდობის მოთხოვნები, პოლიტიკა და საბანკო ნორმატივების შეზღუდვები, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნების სურვილი, საკრედიტო პორტფელის რაიმე ნაწილში კრედიტების კონცენტრაცია და ა.შ. არსებითია, რომ სესხების ზღვარგადასულმა შეძენამ შეიძლება მათი არასასურველი კონცენტრაცია გამოიწვიოს როგორც ცალკე აღებული ბანკების, ასევე, კრედიტების ტიპების მიხედვით. აქედან გამომდინარე, შესაბამისი საზღვრები უნდა დაწესდეს სესხების ყიდვა-გაყიდვის სფეროში. მხედველობაშია მისაღები, რომ კრედიტების გამცემი და მყიდველი ბანკი გაცემული თანხების პროპორციულად ინაწილებენ რისკს და შესაძლო მოგებებს. ამასთანავე კრედიტის გამცემი ბანკი, როგორც წესი, პასუხისმგებელია ძირითადი საკრედიტო საქმის უზრუნველყოფაზე ყველა თანხმდები დოკუმენტის გათვალისწინებით და ვალდებულია, ეს დოკუმენტაცია კრედიტის მყიდველ ბანკს გადასცეს. მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობები ბანკებს შორის უნდა იყოს ორმხრივი, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია პრობლემების შესახებ ორივე მხარეს უნდა მიეწოდოს. კრედიტების ამოღების გეგმა შემუშავებული უნდა იყოს კრედიტის გამცემი ან მყიდველი ბანკის, ან ორივეს მიერ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

გარდა ამისა, ნაყიდი კრედიტები უნდა შეესაბამებოდეს იმ პარამეტრებს, რომლებსაც ბანკი საკრედიტო პრაქტიკაში იყენებს. ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა სახით განხორ-

ციკლდება სესხების მართვა და მათი მომსახურების პირობები; უნდა დადგინდეს, თუ რა ტიპის ინფორმაცია მოეთხოვება კრედიტების გამცემ ბანკს იმისათვის, რომ მყიდველი ბანკი იყოს გაცნობიერებული შეძენილი კრედიტის მდგომარეობაში.

საკრედიტო პორტფელში სესხების დაბრუნების ვადები შესაბამისობაშია მოსაქცევი დაბრუნების წყაროსთან, სესხების მიზნობრიობასთან და საგარანტიო ქონების არსებობის პირობებთან. გაცემული კრედიტი დადგენილი ვადების მიხედვით უნდა დაიფაროს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის პროცედურებიც, რომელთა მიხედვითაც გირაოს მიღება ხდება, ასევე იმ თანხის ოდენობა, რომელსაც ბანკი ამა თუ იმ ტიპის გირაოს ქვეშ (პროცენტულ გამოხატულებაში) გასცემს. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი იქნება კრედიტის განახლება ან გადავადება შესამუშავებელია შესაბამისი პროცედურა.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია თუ რა ტიპის კრედიტების გაცემა არის სასურველი და რა ტიპის არა. გარდა ამისა, ბანკის მენეჯმენტმა

უნდა შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა, პროცედურები და საინფორმაციო სისტემა იმისათვის, რომ სწორად იყო შეფასებული, გაანალიზებული და წარმართული ბანკის საპროცენტო განაკვეთისა და საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთქმედება. აგრეთვე, საგულისხმოა იმ ბალანსგარეშე ანგარიშებზე დაღეჭილი თანხების მოცულობებიც, რომლებიც დაკავშირებული იქნება სესხების განკარგვასთან, საკრედიტო ხელშეკრულებებთან აკრედიტივების, ვალდებულებებისა და კრედიტების ურთიერთგაცვლის ჩათვლით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რისკების შეფასებასთან ერთად ბანკებმა მაქსიმალურად მოარგონ გაცემული სესხის ოდენობა და გადახდის პირობები მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ბიზნესმოდელს, გაითვალისწინონ ბიზნესის ციკლურობა და ფულადი ნაკადების სტრუქტურა. ამ პროცესის სწორად წარმართვის შედეგი იქნება, ერთი მხრივ, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მაღალი ხარისხი, და მეორე მხრივ – ჯანსაღი საკრედიტო პორტფელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხანთაძე გ., ცაავა გ. - საბანკო ოპერაციები (სახელმძღვ.), თბ, 2012.
2. ინგოროვეა ა.; ფინხაია ზ.; ფინხაია ი.; - საბანკო ოპერაციები (ლექციების კურსი), თბ, 2009.
3. Ludwig von Mises -The Theory of Money and Credit;- Skyhorse Publishing, 2103.
4. E. Philip Davis Credit cycles and the economy: introduction.(Report): An article from: National Institute Economic Review, 2012.
5. <http://nbg.ge/index.php?m=339&n&newsid=2357>

FEATURES OF CREDIT PORTFOLIO MANAGEMENT

GIORGI KHANTADZE

Assoc. prof. of GTU

Credit is the form of loan capital circulation. Loan capital is an integrity of funds which the owner lends to another person and is being reimbursed.

Bank credit policy defines the standards, parameters and procedures by which bank employees are guided during issuing, registering and managing the credits.

Traditional source of covering the loans is the gain received from selling the goods. Though it can't always serve as a real guarantee of paying the loan. It might be the case only in financially strong companies which have high profitability and high security level with its own capital.